სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზ. N154
0112 თბილისი, საქართველო
www.suda.gov.ge
info@suda.gov.ge

11 / ივლისი / 2024 წ.

KARR0129971266824

№ **04/1018**

სსიპ სახელმწიფო
ქონების ეროვნული
სააგენტოს სახელმწიფო
ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 25 ივნისის №6/35726 მომართვა (რეგისტრირებული განცხადების ნომერი: 958/21; თარიღი: 26.06.24), რომელიც ეხება ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე დაურეგისტრირებელი 880.41 კვ.მ. მიწის ნაკვეთის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულზე გაცნობებთ, რომ ,,ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების და თქვენს მიერ მოწოდებული სიტუაციური ორთოს შესაბამისად დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის უმეტესი ნაწილი ხვდება გამწვანებულ ტერიტორიაზე (გტ), ხოლო მცირე ნაწილზე ვრცელდება სპეციალური ზონა 2 (სპზ-2), სანიტარიული დაცვის პირველი - მკაცრი რეჟიმის ზონა და ლოკალური ტრანსპორტის და მთავარი ქუჩების ტერიტორია.

გამწვანებული ტერიტორია (გტ) წარმოადგენს ნაშენ გარემოში არსებულ გამწვანების ობიექტს (მაგალითად, ბულვარი, პარკი, სკვერი, გაზონი), რომლის ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაცულია წყალგამტარიანობა (კ-3), სადაც შესაძლებელია მოეწყოს დასასვენებელი/გასართობი ადგილები, სპორტული, სათამაშო, საკემპინგე, საქალაქო მებაღეობა, საბანაო ადგილები.

შესაბამისად, დაინტერესებაში არსებული დაურეგისტრირებელი 880.41 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განვითარება დასაშვებია მხოლოდ მასზე გენგეგმით დადეგნილი ფუნქციური ზონების შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

იოანე მენაბდე